

მეშვიდე მატჩი – პენალტებით!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 12 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 6:5 (0:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოღია), ვ. ნოღია (წერეთელი), ყიფიანი.

“შახტიორი”: ჩანოვი, იარემჩენკო, ზვიაგინცევი, ბელოუსოვი, გორბუნოვი, ვანკევიჩი, ვასინი, კონკოვი, სტარუხინი (ზახაროვი), დუდინსკი, საფონოვი.

მსაჯი: ნ. უხარევი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

თბილისის “დინამო” ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია უმაღლეს ლიგაში, რომელთაც ყველაზე მეტად შეეხოთ ახალი რეფორმა საკავშირო ჩემპიონატში ფრეს გაუქმების შესახებ. 20 ჩატარებულ მატჩში მეტოქეებთან ურთიერთობა თბილისელებმა 7–ჯერ (თითქმის ერთი მესამედი) დამატებითი 11–მეტრიანების მეშვეობით გაარკვიეს. უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარესაა, ვინაიდან ხუთჯერ პენალტებმა გამარჯვება დინამოელებს მოუტანა.

დამატებითს პენალტებზე მიღვა საქმე “შახტიორთან” მატჩშიც. რაიმე კომპრომისზე ლაპარაკი ამ შეხვედრაში ზედმეტი იყო, ვინაიდან დონეცკელები ამ ტურის წინ 1 ქულით უსწრებდნენ თბილისელებს, ერთ ქულას კი ახლანდელ ჩემპიონატში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი მოპოვება ან დაკარგვა რამდენიმე ადგილით გადანაცვლებას იწვევს გათამაშების ცხრილში.

სტუმრებმა ძალიან აქტიურად, შეუპოვრად დაიწყეს თამაში. პირველი 5 წუთის მანძილზე მათ რამდენიმე ძლიერი შეტევა განახორციელეს და ზედიზედ სამჯერ მოაწოდეს კუთხური. თვით ამ 5 წუთზე შეიძლება არც ღირდა ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთმა ენერჯიულმა დასაწყისმა “შახტიორის” მოთამაშეებს საკუთარი ძალის რწმენა განუმტკიცა, საშუალება მისცა აქცენტი გაეკეთებინათ შემტევ ფეხბურთზე, ნახევარმცველები ხშირად გამოეყენებინათ საიერიშო კომბინაციებში.

თბილისელებმა ვერ შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება. მათი თავდამსხმელები შებორკილი იყვნენ სტუმრების მცველებით, სადაც პარტიორების ტაქტიკურ ურთიერთმოქმედებას უნარიანად ხელმძღვანელობდა გამოცდილი ზვიაგინცევი.

ნახევარმცველთა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში, რომელიც შუა მინდორში გაჩაღდა, ხშირ შემთხვევაში დონეცკელები იმარჯვებდნენ. ისინი უკეთ თამაშობდნენ თავით, უფრო ზუსტნი იყვნენ გადაცემებისას. გაცილებით მეტს და ნაყოფიერად მოძრაობდნენ. “დინამოს” ნახევარდაცვის რგოლიდან გამოირჩეოდა მხოლოდ ებრალიძე, რომელმაც მოპირდაპირე კართან უფრო მეტი სახიფათო მომენტი შექმნა, ვიდრე რომელიმე თავდამსხმელმა. მისი პერიოდული გარღვევების შემდეგ “შახტიორის” კარი რამდენიმეჯერ აღმოჩნდა ძალზე რთულ მდგომარეობაში.

სანახაობრივი თვალსაზრისით მატჩი არ ბრწყინავდა, ნერვიულობა, დაძაბულობა სჭარბობდა ოსტატობის და თამაშის ესთეტიკურ მხარეს. მეტოქეებმა საკმაოდ მდარე ფეხბურთი ითამაშეს.

დინამოელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის დასასრულისთვის შეძლეს რამდენიმე კარგი შეტევის განხორციელება, ხელსაყრელი პოზიციიდან ააცდინა ბურთი კარს მაჩაიძემ, შემდეგ ყიფიანმა შეასრულა რთული ტექნიკური ილეთი და ახლო მანძილიდან ძელს მოახვედრა ბურთი. დონეცკელები ამ პერიოდში დალლილი ჩანდნენ, თუმცა კონტრიერიშები არ შეუწყვეტიათ და ვანკევიჩსა და საფონოვს გოლის გატანის კარგი შესაძლებლობანი მიეცათ.

ანგარიში არ გახსნილა, ჯერი მიდგა პენალტებზე. სერია ზუსტი დარტყმით გახსნა კონკოვმა. კანთელაძემ კი ძელს მოახვედრა ბურთი. ეს განსხვავება ანგარიშს შერჩა ლუდინსკის, ჭელიძის, ვასინისა და ებრალიძის დარტყმების შემდეგ – 3:2. სტუმრებმა უპირატესობა ხელიდან გაუშვეს მაშინ, როცა ვანკევიჩმა მიზანს ააცდინა ბურთი, ყიფიანმა კი ზუსტად გაიტანა გოლი – 3:3. ბოლო ბურთები გაიტანეს იარემჩენკომ და წერეთელმა – 4:4.

გუნდები შეუდგნენ 11-მეტრიანების მეორე სერიას. ჯერ დაწინაურდა “მახტიორი” (ზვიაგინცევი), “დინამომ” კი კვლავ გაათანაბრა ანგარიში (ლ. ნოღია) – 5:5. შემდგომი პენალტი დონეცკელებმა საფონოვს მიანდეს აქ კვლავ გამოიჩინა თავი მეკარე გოგიაშვილი და მოიგერია დარტყმა. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ძოძუაშვილზე, რომელმაც ზუსტად დაარტყა და ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა თბილისელებს – 6:5.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 14 აგვისტო, 1973 წ.